ხუთშაბათი,
8 მარტი, 1956 წ.
№ 20 (1308)
ფასი 10 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კოლექტიური შრომა

საქართველოს კ პ
მესტიის რაიკომისა და
მესტიის რაიონის
მშრომელთა დეპუტატების
საბჭოს ორგანო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა თბილისი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1956 წლის 27 თებერვალს გაიმართა პლენუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

პლენუმმა აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი შემადგენლობით:

პრეზიდიუმის წევრები: ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. კირიჩენკო, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბაროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი;

პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები: ამხანაგები გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი.

პლენუმმა აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, დ. ტ. შეპილოვი.

პლენუმმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. ნ. მ. შვერნიკი, პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ—ამხ. პ. ტ. კომაროვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიაში

1956 წლის 27 თებერვალს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. პ. გ. მოსკატოვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გიურო რუსეთის სფსრ რესპუბლიკისათვის

რესპუბლიკური ორგანიზაციების, საოლქო, სამხარეო პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის უფრო კონკრეტული ხელმძღვანელობისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების უფრო ოპერატიულად გადაჭრის მიზნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო რუსეთის სფს რესპუბლიკისათვის.

რუსეთის სფს რესპუბლიკისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარედ დამტკიცებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი და ბიუროს თავმჯდომარის მოადგილედ—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ი. ბელიაევი.

რუსეთის სფს რესპუბლიკისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად დამტკიცებული არიან ამხანაგები: მ. ა. იასნოვი—რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ი. ვ. კაპიტონოვი—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ფ. რ. კოზლოვი—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. მ. ჩურაევი—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ პარტიული ორგანოების განყოფილების გამგე, ვ. პ. მილარშჩიკოვი—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე, ა. მ. პუზანოვი—რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ნ. გ. იგნატოვი—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გორკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. პ. კირილენკო—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

მეცნიერი ქალები

ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერთა შორის ბევრია ქალი. მარტო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში არის 314-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი ქალი. მათ შორის 8 მეცნიერების დოქტორი და 193 კანდიდატი.

მეცნიერთა საზოგადოებრიობაში ფართოდ ცნობილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ანატომიის განყოფილების გამგე პროფესორი ნ. ჯავახიშვილი, იგი გულმოდგინედ მუშაობს ნერვო—სისხლძარღვთა სისტემის მორფოლოგიის შემდგომი განვითარების დარგში. თეორიისა და პრაქტიკული მედიცინისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის შრომებს, რომლებიც მიძღვნილია პერიფერიული ნერვიული სისტემის ანატომიის, ღვიძლის სისხლძარღვთა აგებულების, ზურგის ტვინის ნერვის და სხვა საკითხებისადმი. ნ. ჯავახიშვილი საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

საბჭოთა ბიოლოგიის მეცნიერების განვითარებაში წვლილი შეაქვს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს სტალინური პრემიის ლაურეატს—ქ. ბახტაძეს. მან გამოიყვანა ჩაის ახალი ჯიშები „ქართული—1“, „ქართული — 2“, რომლებიც მოსავლიანობითა და ხარისხით მნიშვნელოვნად ჯობია ახლანდელ ჯიშებს. ჩაის ბუჩქები, რომლებიც შექმნა სელექციონერმა, ჩვენი ქვეყნის ახალ რაიონებში ვრცელდება.

დიდ მეცნიერულ — პედაგოგიურ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქ. ლომთათიძე. იგი 60-ზე მეტი შრომისა და გამოკვლევის ავტორია ენათმეცნიერების სხვადასხვა საკითხებზე. მოწინავე მეცნიერი ქალი აღჭურვილია ხალხის მაღალი ნდობით — არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ქიმიის დარგში ბევრი მნიშვნელოვანი მეცნიერული შრომის ავტორია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნ. ციციშვილი. მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დოცენტი ტ. ცეცხლაძე.

მეცნიერი ქალები საქართველოს ყველა მეცნიერთან ერთად ისწრაფვიან მიუახლოვონ მეცნიერება წარმოებას, ამრავლონ თავიანთი წვლილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

(საქდესი).

მთელი ძალები პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის

ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად

მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა ეცერის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგების განხილვას.

მიტინგზე ინფორმაციით გამოვიდა პარტიის რაიონული კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ძ. უდესიანი.

მიტინგზე სიტყვით პირველი გამოვიდა მეცხოველეობის ფერმის გამგე ი. გურჩიანი. პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები,—ამბობს იგი, —ახალი ამოცანების წინაშე აყენებს მეცხოველეობის მუშაკებს. ჩვენი ამოცანა არის ახალ ხუთწლედში ვამრავლოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობა და გავადიდოთ ძროხის საშუალო წველადობა 1200 ლიტრამდე.

კოლმეურნეობის ბრიგადირმა კოსდა გუჯეჯიანმა ილაპარაკა იმ შრომით ალმავლობაზე, რაც პარტიის XX ყრილობამ გამოიწვია ეცერელ კოლმეურნეებში. ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისადმი ჩვენი პასუხი იქნება, — ამბობს იგი, —შრომის ორგანიზაციის უკეთ მოწყობა, შრომის დისციპლინის განმტკიცება და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდება.

ეცერელი კოლმეურნეები მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ერთსულოვნად იწონებენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და პირობას იძლევიან ნაკისრი ვალდებულებები საქმედ აქცევენ და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის დიად მშენებლობაში.

ზონალური თათბირები

4 მარტს პარტიულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა მულახის, მესტიის, ლენჯერისა და ლატალის სასოფლო საბჭოების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა და აგიტატორების ზონალური თათბირი, სადაც განხილული იქნა საკითხი—რაიონის მოსახლეობაში სკკპ XX ყრილობის მასალების ახსნა-განმარტების მოწყობის ღონისძიებათა შესახებ.

ამავე საკითხზე ზონალური თათბირები ჩატარდა იფარში, ბეჩოში და ლახამულაში.

მთელი ძალები პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის

*

შრომის ახალი მიღწევებისათვის

4 მარტს მესტიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა თავი მოიყარეს პარტიის XX ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილ მიტინგზე. ყრილობის მუშაობის შესახებ მიტინგზე ინფორმაცია გააკეთა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჯაფარიძემ.

— მთელი საბჭოთა ხალხი, — თქვა მან, — ერთსულოვნად იწონებს მშობლიური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, იგი ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავების, კომუნიზმისათვის ბრძოლის დიადი სამოქმედო პროგრამაა. ყოველი საბჭოთა ადამიანის ვალია ძალა და ენერგია არ დაიშუროს ამ დიადი საქმისათვის.

— პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილება იმის ნათელი დადასტურებაა, თუ როგორ ზრუნავს კომუნისტური პარტია მშრომელთა კულტურული და მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ჩვენი კოლმეურნეობა. მე მინდა ჩემი წვლილიც შევიტანო ამ საქმეში. ვალდებულებას ვიღებ ჩემს ბრიგადაში სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 10 ცენტნერით გავადიდო, ხოლო თივის საჰექტარო მოსავალი ავიყვანო 25 ცენტნერამდე, — განაცხადა მიტინგზე კოლმეურნეობის მერვე ბრიგადის ბრიგადირმა დ. ჯაფარიძემ.

— ჩვენი კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში, — განაცხადა მწველავმა ნ. მარგიანმა, — ყველა პირობაა შექმნილი შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, პროდუქტიულობის გადიდებისათვის. პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად ვალდებულებას ვკისრულობ თვითეულ საფურაქე ძროხაზე წელს მივიღო 2500 ლიტრი რძე, ნაცვლად 1700 ლიტრისა 1955 წელს.

მეცხოველეობის ფერმის გამგემ მ. ხერგიანმა აღნიშნა, რომ კოლმეურნეობის მეცხოველეები დაუღალავად იშრომებენ ახალი საწარმოო მიღწევებისათვის. მეცხოველეობის მუშაკების სახელით მან ვალდებულება იკისრა მიმდინარე სამეურნეო წლის წველადობის გეგმა 120 პროცენტით შეასრულონ და 100 პროცენტით შეინარჩუნონ ნამატი.

მიტინგზე ახალი გადიდებული ვალდებულებები აიღეს ავრეთვე მეოთხე ბრიგადის ბრიგადირმა გ. რატიანმა, მესამე ბრიგადის ბრიგადირმა ა. ნიგურიანმა, კოლმეურნე ნ. ჩართოლანმა და სხვებმა.

კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ყრილობის გადაწყვეტილებანი და ერთხმად მიღებული რეზოლუციით ვალდებულება იკისრეს გადაჭარბებით შეასრულონ კოლმეურნეობის წინაშე მდგარი მიმდინარე წლის საწარმოო გეგმები.

*

პირველი შედეგები

მერძეობის ჩვენი ფერმის მწველავები, მწყემსები უდიდესი სიხარულით და წარმატებებით შეხვდნენ პარტიის XX ყრილობას.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ფერმაში სოციალისტური შეჯიბრება მეცხოველეობაში სამეურნეო წლის დასაწყისშივე გაიშალა. მწველავებმა და მწყემსებმა იკისრეს ახალი, გაზრდილი ვალდებულებანი და სოცშეჯიბრში გამოვიწვიეთ მულახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერძეობისფერმა.

უნდა ითქვას, რომ ფერმის კოლექტივი ამას პირნათლად ანაღდებს. შევქმენით რა მერძეული პირუტყვის გამოზამთრებისათვის ყველა პირობა, ვაღწევთ ნამატის 100 პროცენტით მიღებას და შენარჩუნებას.

წარმატებები უფრო თვალსაჩინო გახდა წველადობაში. 1 მარტის მდგომარეობით თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებული გვაქვს 472 კილოგრამი რძე, ესე იგი გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ყოველ ძროხაზე წველადობის ზრდა შეადგენს 178 კილოგრამ რძეს. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს წველადობის წლიური დავალება გავანაღდოთ 15 ივლისისათვის. ამასთან მწველავი ნ. მარგიანი გახდება 1957 წლისათვის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. იგი წელს თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიიღებს სულ ცოტა 2500 კილოგრამ რძეს.

მ. ხერგიანი,
მერძეობის ფერმის გამგე.

შრომითი აღმავლობით

მულახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები აღფრთოვანებულნი პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებით თავდადებით შრომობენ საგაზაფხულო თესვის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

კოლმეურნეობამ დღეის მდგომარეობით ნაკელის მინდვრად გატანის გეგმა 65 პროცენტით შეასრულა. მზადყოფნაშია თესლები და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ინვენტარის შეკეთება. გამწევი ძალა კარგ მდგომარეობაშია და სხვ.

განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად მუშაობს № 1 ბრიგადა (ბრიგადირი ს. გულბანი). ამ ბრიგადას, მიუხედავად დიდი თოვლიანობისა, ორგანული სასუქი ძირითადად უკვე გატანილი აქვს ბინებად. ამასთან ყველა კულტურების თესლები სრულ კондიციამდეა აყვანილი და ამ დღეებში დაამთავრებს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთებას.

მაღალნაყოფიერი შრომით განირჩევიან აგრეთვე ა. გულნის, ე. ზურგიანის, ლ. ილოლიანის და ბ. ტორეოლიანის ბრიგადები. ისინი დღიურ დავალებას მუდამ გადაჭარბებით და ხარისხიანად ასრულებენ.

კოლმეურნეები თავდადებით შრომობენ, რათა სანდო მუშაობა მოემზადონ საგაზაფხულო თესვისათვის. ამ ამოცანის პირნათლად შესრულებისათვის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობაში.

ივ. დადვანი.

სასოფლო საბჭოს პირველობაზე

ამ დღეებში ცხუმარის სასოფლო კლუბის ინიციატივით ჩატარდა სასოფლო საბჭოს პირველობაზე საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 15 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

ტურნირში მონაწილეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჯოტო არღვლიანი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. საღლიანი, ხოლო მესამეზე ვ. არღვლიანი.

გ. არღვლიანი,

სახელმწიფო დახმარება დედებს

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველწლიურად დიდ თანხებს იღებს მრავალშვილიან და მარტოხელა დედების დასახმარებლად. მარტო 1955 წელს ჩვენს რაიონში მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე დახმარების სახით გაცემულია 533.880 მანეთი. გარდა ამისა 2 დედას მინიჭებული აქვს „გმირი დედის“ საპატიო წოდება. „სახელოვანი დედის“ ორდენით და „დედობის მედლით“ დაჯილდოებულია 564 ქალი.

სოფელ ეცერში მცხოვრები მარიამ ქანცლიანმა, რომელსაც 11 შვილი ჰყავს, 1955 წელს სახელმწიფოსაგან მიიღო 3.300 მანეთი, სოფელ მულახში მცხოვრებ მარუსია ზურგიანმა კი 1500 მანეთი.

დ. ვეზდენი.

სახელმწიფოს ზრუნვა ქალებზე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა სახელმწიფოს დაარსების შემდეგ ქალმა ისტორიაში პირველად მიიღო თანასწორუფლებიანობა მამაკაცთან.

ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე საბჭოთა ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ახალი ცხოვრების ასაშენებლად. საბჭოთა სამშობლოს ბევრმა ქალმა თავი გამოიჩინა სახელმწიფოებრივ პოსტებზედაც.

ქალი — დედა საბჭოთა ქვეყანაში გარემოცულია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი ხალხის მზრუნველობით. დედისა და ბავშვის ჯანმრთელობას მეთვალყურეობს სამედიცინო მუშაკების მთელი არმია.

ჩვენს ქვეყანაში გაშლილია ფართო ქსელი სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებებისა, სამშობიარო სახლებისა, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციებისა, საბავშვო სახლებისა და ბაგებისა, სანატორიუმებისა, ბავშვთა საავადმყოფოებისა და სხვა. რომელთა მიზანია შეუქმნან ყოველგვარი პირობები დედებს ჯანმრთელი თაობის აღზრდისათვის, მინიმუმამდის დაიყვანონ მშობიარობის დროს დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა.

აი, რაზე მეტყველებენ ციფრები და ფაქტები:

1917 წლამდე მთელ მეფის რუსეთში იყო 5854 გინეკოლოგიური საწოლი, რომელიც შეიცავდა საჭიროების მხოლოდ 4 პროცენტს. სამეანო მომსახურეობა არასაკმაო და არასრულფასოვანი იყო. თითქმის სრულიად არ ხდებოდა ორსული ქალებისადმი დახმარება. პოლიკლინიკურ და პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. განსაკუთრებით ცუდად იდგა საქმე სოფლად. მთელი რუსეთის მოსახლეობის 98 პროცენტი (1904 წ. მონაცემებით) მშობიაროობდა მარტოდ-მარტო ან ექიმბაშების დახმარებით.

დღეს კი მარტო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში ირიცხება 200.000 სამეანო-გინეკოლოგიური საწოლი. არსებული სამედიცინო ქსელი ქალაქად საშუალებას იძლევა კვალიფიციური დახმარებისა სტაციონალურ პირობებში. სოფელ ადგილებში წლითი-წლობით იზრდება სამედიცინო ქსელი, ორსული და მშობიარე ქალების დასახმარებლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 23 ნოემბრის ბრძანებულება „აბორტის აკრძალვის გაუქმება“ ადასტურებს პარტიისა და მთავრობის მზრუნველობას საბჭოთა ქალზე. აბორტის აკრძალვის გაუქმება არის შედეგი ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტელი ზრდისა. აბორტის დაშვება არ გულისხმობს მის მოწოდებას. აბორტის აკრძალვის გაუქმება საშუალებას აძლევს ქალებს აიცილონ ის მძიმე გართულებანი, რომელსაც ღებულობენ სამკურნალო დაწესებულებების გარეშე, ხშირად ამ საქმის არა მცოდნეებისაგან. ამ ბრძანებულებით ნება ეძლევა ქალს თვითონ გადაწყვიტოს დედობის საკითხი, აქვს საშუალება შეწყვიტოს ორსულობა სამედიცინო სამკურნალო დაწესებულებაში კვალიფიციური დახმარებით. მიუხედავად ამისა, ხელოვნური აბორტი გაკეთებული სამკურნალო დაწესებულებაში გამოცდილი ექიმის ხელითაც, არ არის ყოველთვის მართებული ქალის ჯანმრთელობის მიმართ და შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა მძიმე გართულებანი, განსაკუთრებით პირველ ორსულობისას, ხანში შესულ ქალებში და სხვა.

დიდ სახელმწიფოებრივ აქტად ითვლება უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის ივლისის ბრძანებულება სახელმწიფოს დახმარების შესახებ ორსულ ქალებზე, მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე, დედათა და ბავშვთა დაცვის გაძლიერება, „გმირი დედის“ საპატიო წოდების დაწესება და სხვა. ბრძანებულებით გათვალისწინებულია სახელმწიფო დახმარება მრავალშვილიანი დედებისათვის.

მშობიარეთა დახმარების პერსპექტივები დიდია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობის დირექტივებში ნათქვამია: „გაუმჯობესდეს ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები კერძოდ, გადიდდეს ორსულობისა და მშობიარობის გამო ხელფასიანი შვებულების ხანგრძლივობა“.

საბჭოთა ქალი გარემოცულია პარტიისა და მთავრობის უდიდესი ყურადღებითა და მშობლიური მზრუნველობით.

ს. ალხაზიშვილი,
ექიმი — გინეკოლოგი.

გაზეთ „კოლექტიური შრომის“ სტამბა

ტირაჟი 1000

რედაქტორი ს. მჟელიანი